პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 35

20 20 წ. "27" 02

ქ.თბილისი

შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N124 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N124 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. შპს - მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საფინანსო სერვისები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412	51	66	ქართული	30	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №13 ბ
2	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	40	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №13 ბ
3	აღმზრდელი (1)	მეხუთე საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 030255	116	146	ქართული	40	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №13 ბ
4	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	40	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №13 ბ
5	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	40	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №13 ბ
6	საექთნო განათლება (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში 0913	180	210	ქართული	40	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №13 ბ

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 27 თებერვალი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 27 თებერვლის №3 სხდომის ოქმის მეთხუთმეტე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ნანა ყუფუნია

სხდომის მდივანი
შორენა ჯაფარიძე